ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 86.19.28.075) ახალი ადმინისტრაციული შენობის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #1

ქ. თბილისი 24.05.2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე | ზვიად ჩიხლაძე |
| კომისიის თავმჯდომარე | მამუკა ჭეიშვილი |
| კომისიის წევრები | გურამ თალაკვაძე,ნიკოლოზ გოგიაშვილი,<br>ზექა გოგილიძე,არჩილ ადამია,<br>დავით ნადირაშვილი,კახტანგ ტალახაძე,<br>მიხეილ ბედოიძე,<br>გელა ბოხაშვილი(მოწვეული სპეციალისტი). |
| კომისიის აპარატის წევრები | ჩაია გაფრინდაშვილი,რობერტი აბულაძანიძე,<br>ზაზა გაგნიძე. |

დღის წესრიგი:

„გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის" ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 86.19.28.075) ახალი ადმინისტრაციული შენობის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის მიზნით საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

კომისიის წევრის, მიხეილ ბედოიძის გამოსვლა, რომელმაც კომისიის წევრებს წარმოუდგინა „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის" ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 86.19.28.075) ახალი ადმინისტრაციული შენობის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების ტექნიკური დავალება.

განიხილეს:

1. კომისიის წევრებმა, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, იმსჯელეს საკონკურსო პირობების, კერძოდ კი საკონკურსო განცხადების, შესყიდვის ობიექტისა და კონკურსანტის მიმართ დასადგენი მინიმალური მოთხოვნების შესახებ. საკონკურსო პირობების შედგენისას განისაზღვრა აგრეთვე საკონკურსო წინადადების შეფასების კრიტერიუმები და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის წესი. კომისიის წევრები შეთანხმდნენ, საკონკურსო წინადადების შეფასება განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:
   ა) საპროექტო შენობა/ნაგებობის არქიტექტურული დიზაინი/ვიზუალიზაცია: - კოეფიციენტი - 0.5
   ბ) საკონკურსო წინადადების ფასი - კოეფიციენტი -- 0.3;
   გ) კონკურსანტის გამოცდილება: — კოეფიციენტი- 0.2.
   შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

შეფასება უნდა განხორციელდეს თითოეული კომისიის წევრის მიერ ინდივიდუალურად. შესაბამისად, გამარჯვებულად დასახელდება ის კონკურსანტი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს. ხმების თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება თავმჯდომარის ხმას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი კონკურსანტი ვერ გადალახავს 5 ქულიან ზღვარს, კონკურსი დასრულდება უარყოფითი შედეგით.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საკონკურსო პირობებას შემუშავებული ვარიანტი (იხ. დანართი);
2. „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–5 მუხლის შესაბამისად საკონკურსო განცხადების ოფიციალური მოთხოვნა და საკონკურსო პირობები წარედგინოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

კომისიის თავმჯდომარე /ზვიად ჩიხლაძე/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /მამუკა ჭეიშვილი/

კომისიის წევრი /გურამ თალაკვაძე/

კომისიის წევრი /ნიკოლოზ გოგიაშვილი/

კომისიის წევრი /ზექა გოგილიძე/

კომისიის წევრი /არჩილ ადამია/

კომისიის წევრი /დავით ნადირაშვილი/

კომისიის წევრი /ვახტანგ ტალახაძე/

კომისიის წევრი /მიხეილ ბედოიძე/

კომისიის წევრი /გელა ბოხაშვილი/

კომისიის აპარატის წევრები

/მაია გაფრინდაშვილი/

/რობერტი აბურჯანიძე/